პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 2 ოქტომბერი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

223 (921) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## ცვალებადელის საზოგადოებრივი მუშაობა ტერშეკრების შემდეგ.

პირველი ტერშეკრება მნიშვნელოვან წარმატებებით და მიღწევებით ბოლოვდება.

ერთი თვის მეცადინეობამ ბევრი რამ შესძინა ჩვენ ტერარმიელებს, როგორც სამხედრო ისე პოლიტიკურ—კულტურულ დარგში. ტერშეკრების დასრულების შემდეგ ცვალებადელები დაბრუნდებიან სახლში.

როგორც შვებული წითელარმიელების ისე ცვალებადელთა წინაშეც მთელი სიგრძე სიგანით იჭრება სოფლად მუშაობის საკითხი.

როგორც შვებულები ისე ტერშეკრებიდან სახლში დაბრუნებული ცვალებადელნი ვალდებულნი არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ იმ გაცხოველებულ აღმშენებლობით მუშაობაში, რომელსაც დღეს სოფლად აწარმოებს ჩვენი პარტია და მუშურ-გლეხური ხელისუფლება. ტერშეკრებაზე მიღებული ცოდნა პოლიტიკურ კულტურულ დარგში ცვალებადელებმა უნდა მოახმარონ სოფლის ეკონომიურად და კულტურულად აღორძინების საქმეს.

მართალია სულ ერთი თვე დაჰყვენ წითელ-ყაზარმაში ცვალებადელებმა, მაგრამ ამ მოკლე ხნის განმავლობაშიც მათ ბევრი ახალი რამ შეიძინეს.

სამხედრო საქმესთან ერთად გაეცვნენ საბიბლიოთეკო მუშაობას, კოოპერატიულ კურსებში—კოოპერაციას და სხვა ერთი სიტყვით ერთი თვის განმავლობაში წითელმა ყაზარმამ მათ მისცა იმდენი, რაც სრულ შესაძლებლობას აძლევს მათ აქტიურად და ენერგიულად ჩაებან სოფლის აღმშენებლობით მუშაობაში.

ტერარმიელების საზოგადოებრივ მუშაობას დიდათ ხელს შეუწყობს აგრეთვე მათი კავშირი თავის ნაწილებთან. ამ კავშირის წყალობით ტერარმიელები ტერშეკრებათა შორისაც განავითარებენ და გააღრმავებენ თავის ცოდნას.

წითელი ყაზარმა მათ შემდეგშიაც დაეხმარება სოფლად მუშაობაში.

თავის მხრივ ცვალებადელებმა ყოველ მხრივ უნდა ეცადონ რაც შეიძლება მჭიდრო კავშირში იყონ თავის ნაწილებთან და ხშირად აცნობდენ ამ უკანასკნელებს თავის მუშაობას და მოღვაწეობას სოფლად.

ამრიგად ტერშეკრების დასრულების შემდეგ ცვალებადელი აქტიური მშენებელი და საზოგადოებრივი მუშაკია სოფლის.

მისი მოვალეობაა ტერშეკრებაზე ყოფნის უკანასკნელი დღეები მეტის ნაყოფიერობით გამოიყენოს ამ მომავალი მუშაობისათვის მოსამზადებლად.

როგორც წითელ ყაზარმაში ისე ტერშეკრებათა შორისაც ცვალებადელი უნდა იქნას საბჭოთა ხელისუფლების ინტერესების ღირსეული დამცველი და ახალი სოციალისტური წესწყობილების აქტიური აღმშენებელი.

## ახალი რადიო-ამბები

### საუბარი ამხ. რაკოვსკისთან.

საბჭოთა ტელეგრაფის სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში რაკოვსკიმ განაცხადა:

„ამ ჟამად ჩვენსა და ინგლისის ურთიერთობაში სრული სიმშვიდე ჩამოვარდა. სრულუფლებიან წარმომადგენლობასა და ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის დამოკიდებულება სავსებით თავაზიანია. არავითარი საჩივარი ჩვენს მიმართ არ არის. საზოგადოებრივი და პოლიტიკური წრეების ყურადღება მიქცეულია ინგლისისა და საბჭოთა პროფკავშირების ურთიერთობის განვითარებისაკენ. ინგლისის პრესაში და სამრეწველო წრეებში სდგას საკითხი მჭიდრო ეკონომიური კავშირის შესახებ ჩვენსა და ინგლისს შორის. ჩვენ დაკვეთილი გვაქვს ინგლისში 11 მილიონი მანეთის მანქანა. მთელი ინგლისის გაზეთები იმედს გამოსთქვამენ, რომ საგარანტიო—ხელშეკრულება მოწერილ იქნება.“

### საბჭოთა საწინააღმდეგო გეგმის დამარცხება.

პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობის გაუმჯობესებას ინგლისის მუშათა პარტია განიხილავს, როგორც ჩემბერლენის გეგმის ჩაშლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩემბერლენის მიზანი იყო საბჭოთა საწინააღმდეგო კავშირის შექმნა, რომელიც უნდა გავრცელებული იყო ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდი.

ამ წრეებში აღნიშნავენ, რომ პოლონეთისა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს ზოგიერთ სახელმწიფოზე და დაარღვევს ბალტიის კავშირს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

### ამხ. ჩიჩერინი ბერლინში.

30 სექტემბერს საბჭოთა კავშირის საგარეო-საქმეთა კომისარი ამხ. ჩიჩერინი ჩავიდა ბერლინში (გერმანიაში). საზღვარზე ჩიჩერინს მიეგება ბერლინის საელჩოსა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.

სადგურზე ჩიჩერინს შეხვდა სხვა და სხვა სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები, პრესის წარმომადგენლები, ფოტოგრაფები, კინო-ფილმების წარმომადგენლები, მუშები და მუშა ქალები. ჩიჩერინი გააცილეს ავტომობილზე აღფრთოვანებული ძახილით: „გაუმარჯოს მოსკოვს.“

### გერმანიის გაზეთები ჩიჩერინის ჩასვლის შესახებ ბერლინში.

თითქმის ბერლინის ყველა დიდი გაზეთები სწერენ ჩიჩერინის ბერლინში ჩასვლის, საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობისა და გერმანია-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ.

გაზეთები „ალგემეინე დეიტშე ცეიტუნგი“ და „ტაგი“ ხაზს უსვამენ, რომ არსად ქვეყანაზე არც ერთი საგარეო საქმეთა მინისტრი არ გაჩერებულა ამდენხანს თავის პოსტზე, როგორც ჩიჩერინი. ჩიჩერინის ჩასვლას ეს გაზეთები დიდ მნიშვნელობას აძლევენ და იმედს გამოსთქვამენ, რომ ჩიჩერინი ითანამშრომლებს ევროპის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის მოგვარების საქმეში.

ყველა გაზეთები კვლავ იმეორებენ, რომ გერმანია არ ფიქრობს თავის პოზიციის შეცვლას საბჭოთა კავშირის მიმართ და სხვა.

### პოლონეთის გაზეთი პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ.

პოლონეთის გაზეთი „კურიერ ვარშავსკი“ სწერს, რომ ჩიჩერინის სიტყვებმა საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა. გაზეთი აღნიშნავს, რომ მზადდება ნიადაგი პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის მტკიცე თანამშრომლობისათვის, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობიანობასა და შინაურ განვითარებას ამ ორ ქვეყანაში.

### ინგლისის მთავრობას ეშინია მშვიდობიანობის.

ინგლისის კაბინეტი შეწუხებულია თურმე ჩიჩერინის მისვლით ვარშავში და იმ ხმებით, თითქოს ჩიჩერინს დავალებული ჰქონდეს დაარწმუნოს პოლონეთი, რომ პოლონეთს არ მოელის საფრთხე საბჭოთა კავშირის მხრივ აღმოსავლეთ საზღვრებზე და რომ საბჭოთა მთავრობა უზრუნველყოფს აგრეთვე მის საზღვრებს გერმანიის მხრივაც. ლონდონში ფიქრობენ, რომ საბჭოთა კავშირს ამით სურს მოიმხროს პოლონეთი და დააშინოს გერმანია იმით, რომ უკანასკნელის შესვლა საგარანტიო ხელშეკრულებაში საშინელ შევიწროებას უქადის მას.

### პროვოკატორების მუშაობა იაპონიაში.

იაპონიის გაზეთი „კოკუმინი“ ავრცელებს ხმებს, რომ მუკდენში (ჩინეთში) კომუნისტების მუშაობას ხელსუწყობს საბჭოთა მთავრობა. გაზეთი ბრალს სდებს პროპაგანდაში აგრეთვე ჩინეთ-აღმოსავლეთ რკინის გზის აგენტებს.

ამ ფაქტის მიზანია წაუსისონ ჩინეთის ხელისუფლება ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის სავაჭრო წარმომადგენლებს.

## „ვარშავა და მოსკოვი“.

ამ რამოდენიმე დღის წინ ორი თვით საზღვარგარეთ გაემგზავრა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ჩიჩერინი. პირველად ის ჩავიდა პოლონეთში. პოლონეთის მთავრობა დიდის პატივით შეხვდა ამხ. ჩიჩერინს, რაც მოწმობს პოლონეთის მთავრობის პოლიტიკის გადახრას საბჭოთა კავშირთან დაახლოვებისაკენ.

გაზეთი „იზვესტია“ ეხება ამ შეხვედრას ამბობს:

„ასი წლის მონობის შემდეგ, რომელიც უნერგავდა პოლონეთის ხალხს რუსეთისადმი სიძულვილს, ვარშავა პირველად მიესალმა იმ სახელმწიფოს წარმომადგენელს, რომელმაც დაიკავა ძველი მეფისიმპერიის ადგილი. შეხვდა ძალდაუტანებლად, თავის ნებით. ჩვენ ვლაპარაკობთ იმ შეხვედრაზე, რომელიც მოუმზადეს ჩიჩერინს პოლონეთის გაბატონებულ კლასების წარმომადგენლებმა. რომ ამ ფაქტს ადგილი ჰქონდა, უკვე მარტო ეს წარმოადგენს საბჭოთა პოლიტიკის დიდ გამარჯვებას.

ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანმა პოლიტიკამ შთააგონა და დაარწმუნა პოლონეთი, რომ საბჭოთა კავშირი ძველი რუსეთი არაა და მაშასადამე არ არის პოლონეთის დამოუკიდებლობისა და პოლონეთის ხალხის მტერი. საბჭოთა მთავრობას დიდის კმაყოფილებით შეუძლია აღნიშნოს პოლონეთის მიერ ჩვენი წარმომადგენლის მიღება.

მაგრამ სასიხარულო გამოძახილთან ერთად ჩიჩერინის მიღებამ ვარშავაში, უცხოეთის ზოგიერთ წრეებში გამოიწვია მეტად სულელური სჯა საბჭოთა მთავრობის ხრიკების შესახებ, რომელსაც თითქოს სურდეს დაარღვიოს მშვიდობიანობის განმტკიცების ცდები საგარანტიო ხელშეკრულების საშუალებით.

საბჭოთა მთავრობა ვერ ხედავს საგარანტიო ხელშეკრულებაში ევროპის ზავის უზრუნველყოფის საშუალებას. ის მასში ხედავს ძალდატანების საშუალებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

თუ რომ ჩიჩერინის გავლას ვარშავაში კი აქვს რაიმე კავშირი საგარანტიო ხელშეკრულებასთან, ეს იქნება ის კავშირი, რომელიც ხელს უშლის შეიქნას სიტყვითი არსებული ზავის იარაღი ომის იარაღად. პოლონეთ—საბჭოთა ურთიერთობის გაუმჯობესება შეფასებულ უნდა იქნას მშვიდობიანობის ნამდვილ მეგობრებისაგან, როგორც ერთი საშუალებათაგანი სამხედრო საფრთხის უვნებელყოფისა, რომელიც მდგომარეობს საგარანტიო ხელშეკრულებაში.

მართალია გერმანიის პრესა, რომელიც მშვიდად უყურებს ჩიჩერინის მისვლას ვარშავაში. თუ რომ ჩიჩერინის მიღება ვარშავაში ხელს შეუწყობს შემოქმედებითი მუშაობის დაწყებას ორივე რესპუბლიკის დაახლოვების საქმეში, იმ შემთხვევაში მას ექნება დიდი დადებითი მნიშვნელობა პოლონეთისა და საბჭოთა კავშირისთვის“.

# ჩინეთში ფართოვდება გაფიცვები

## გაფიცულია თითქმის მთელი ჩინეთის ფ. სტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურენი.

მიუხედავად მთავრობის სასტიკი ზომებისა ჩინეთში ფართოვდება გაფიცვები.

ფოსტა-ტელეგრაფის მუშებმა პირდაპირ მინისტრს გაუგზავნეს თავიანთი ეკონომიური მოთხოვნილებანი. მაგრამ როცა პასუხი ვერ მიიღეს გამოაცხადეს გაფიცვები. გაფიცვები მოედო ხუთასამდე ქალაქს.

# გერმანია და მოკავშირე სახელმწიფოები.

**საგარანტიო კონფერენციის წინ.**

**26** სექტემბერს გერმანიის მთავრობამ ჩააბარა საფრანგეთის, ინგლისისა და ბელგიის მთავრობებს მათი მიწვევის პასუხი საგარანტიო კონფერენციაზე. გარდა საპასუხო ნოტისა გერმანიის ელჩებმა წარუდგინეს ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, რომ მოკავშირეებმა საგარანტიო ხელშეკრულების დადება დაუკავშირეს გერმანიის შესვლას ერთა ლიგაში.

გერმანიის მთავრობა არაა წინააღმდეგი ამ საკითხების გაერთიანების, მაგრამ ის საჭიროდ სთვლის აღნიშნოს, რომ გერმანიის შესვლა ლიგაში არ უნდა იქნას გაგებული, როგორც გერმანიის მიერ იმ მტკიცების ცნობა, რომელიც შეიცავს გერმანიის პასუხისგებას ომის საკითხში. შეთანხმება არ მოხდება, თუ რომ გერმანიის ლიგაში შესვლამდი და საგარანტიო ხელშეკრულების დადებამდი არ იქნება გადაჭრილი საკითხი რეინის სამხრეთი ნაწილის განთავისუფლებისა და გერმანიის განიარაღების საქმეში.

# რუმელასში მუშაობისათვის.

ბელგრადში დაიწყო პროფესორ ცვეტკოვიჩისა და სხვათა გასამართლება, რომელთაც ბრალად ედებათ რუმელასის სამხრეთ-სლავიის სექციის ხელმძღვანელობა.

# რუმინეთი და ბულგარეთი შეთანხმებულად სდევნიან კომუნისტებს.

რუმინელი გაზ. „ლუპტა“ იუწყება, რომ რუმინეთისა და ბულგარეთის მთავრობები მოქმედებენ შეთანხმებულად კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ ორივე ქვეყნებში.

ბულგარეთის გლეხთა პარტიის წევრი ამონოვი, რომელსაც წინასწარ მიუსაჯეს სიკვდილი და რომელიც თავს აფარებდა რუმინეთს, უკანასკნელის მთავრობამ გადასცა ბულგარეთის ხელისუფლებას.

# ყარსის ექსპედიცია ლონდონში.

ყარსის ექსპედიციის საზღვაო გემები „კრასინი“, „სევერდლოვი“ და „არკოსი“ მივიდენ 26 სექტემბერს ლონდონში.

# საბჭოთა კავშირში

## ამხ. რიკოვი დაბრუნდა მოსკოვში.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. რიკოვი დაბრუნდა მოსკოვში სამხრეთ რუსეთიდან, სადაც მან გაატარა შვებულება.

# სამხედრო საქმე

## როგორ სწარმოებს ბრძოლა ქუჩებში.

განსაზღვრული დროის გამოყველა ჯარის ნაწილებში არ იყო საშუალება გაცნობოდენ მეომრები ქუჩის ბრძოლის წარმოებას. ეს ნაკლი განსაკუთრებით საგრძნობია ტერნაწილებში. ომის დროს ხშირად ხდება ბრძოლები ქალაქისა და სოფლის ქუჩებში, ხოლო იმავ დროს კი ქუჩის ბრძოლა ბევრით განსხვავდება ბრძოლის სხვა სახეებისაგან. ამიტომ საჭიროა კარგად გავეცნოთ მას.

რაშია განსხვავება?

მაგარ ქვის შენობებში მტერი საიმედოდ იმალება, საიდანაც აწარმოებს სროლას, უმთავრესად ქუჩების გასწვრივ. ქუჩებში ჩვეულებრივად აკეთებენ დაბრკოლებებს (ბარიკადებს), ამ მიზნით ქუჩები ბევრ ადგილას გადაიხიმება ქვებით, მორებითა და იმ მასალებით, რაც კი ხელში მოგვყვება და ხშირად გადაიჭრება თხრილებით და ორმოებით. ასეთ ფარულსა და გამაგრებულ ადგილებზე მტერს შეუძლია ახლოს მიგიშვას და პირისპირ აგიტეხოს სროლა. ამიტომაა, რომ ქუჩებში ბრძოლის დროს დიდი ძალა და ენერგიაა საჭირო, რომ აიღო თვითეული ნაბიჯი, თვითეული სახლი, თვითეული დასაყრდნობი წერტი.

ქალაქის ქუჩებში (განსაკუთრებით დიდი ქალაქის) ბრძოლის ხელმძღვანელობა მეტად ძნელია; ნაწილები ხშირად იბნევიან და ჰკარგავენ კავშირს. აქ განსაკუთრებით საჭიროა თვითეული მეომრის თვითმოქმედება.

მეომარს უნდა შეეძლოს დასძლიოს დაბრკოლება ან შემოუაროს მას ეზოებით, ან სახურავებით, ეცადოს მოუაროს მტერს ფრთაზე ან ზურგში. უნდა შეეძლოს სწრაფად ასვლა სახურავზე, სწრაფი მოძრაობა ქუჩაში, იყოს შეუპოვარი და დამოუკიდებელი.

ქუჩის ბრძოლის საწარმოებლად ინიშნება ქვეითი ჯარი არტილერიითა და ჯავშან-მანქანებით. არტილერიის ცეცხლი ანგრევს ბარიკადებს და იმ შენობებს, რომელშიაც ჩასაფრებულია დამცველები. ჩვეულებრივად გამოიყოფიან განსაკუთრებული ჯგუფები, გრენადერები, რომლებიც მესანგრეებთან ერთად სწმენდენ გზებს გრანატებით და უფუჭებენ გზის შეტევაზე გადმოსულ მტერს. მსროლელთა ნაწილი მოძრაობს სახურავებზე, ქუჩის ორივე მხარეზე, ამასთან ცეზობელ დახურულ შენობებიდან, ბალკონებიდან და სახურავებიდან ესვრიან ჩასაფრებულ მტერს. ქუჩებში მოძრაობის დროს. აუცილებლად უნდა იარო კედლების გასწვრივ და განუწყვეტლივ უნდა ადევნო თვალყური ფანჯრებს. არ უნდა ენდო სარდაფებს, ვინაიდან თუ მტრის ყუმბარა ჩავარდა სარდაფში, ის საფლავად გადაიქცევა.

ამრიგად ქუჩის ბრძოლა მოითხოვს თვითეული მეომრისგან შეუპოვრობას, დამოუკიდებლად ბრძოლის ცოდნას, განსაკუთრებულ დახელოვნებას ქუჩაზე მოძრაობაში და სახურავებზე ასვლაში. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველთვის შეუძლებელია თავის დროზე მიიღო განკარგულება უფროსისაგან, ამიტომ თვითონ უნდა იცოდე და შეგეძლოს რა, როდის და როგორ უნდა აკეთო.

ვ.

# მოქმედება ღამით.

მას შემდეგ, რაც რომ ტეხნიკამ საგრძნობლად იწყო განვითარება, მებრძოლმა მხარეებმა უფრო ხშირად მიმართეს ღამით მოქმედებას. ღამე პირველყოვლისა ჰფარავს მტრისთვის ჩვენს მოძრაობას. ცეცხლი ღამით ნაკლებად აღწევს მიზანს და, მაშასადამე, ზარალიც ნაკლებია, ვინემ დღისით. ბოლოს ღამე ხელსაყრელია თავს დაესხა მტერს მოულოდნელად. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ღამით მოქმედება სწარმოებს ყოველგვარ გარემოებაში.

მაგრამ იმისთვის, რომ ეს მოქმედება წარმატებითი იყოს, საჭიროა კარგად მოემზადო ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს. ღამით ძლიერ იღლება მეომრები მასთან ადვილად შეიძლება გზის დაკარგვა, დაბნევა, ვინაიდან ღამით საგნები სხვანაირად სჩანან, ვინემ დღისით. ეს ყველამ კარგად იცის და ალბად ხშირად ბუჩქი ბევრს სახლად მოსჩვენებია, ქვა მთად და სხვა. ყველაფერი ეს გვეუბნება, რომ სანამ ღამით მოქმედებას შეუდგებოდეთ, კარგად უნდა შევისწავლოთ ადგილმდებარეობა, რომელზედაც გვიწევს მოქმედება.

ჯერ უნდა დაათვალიერო ადგილმდებარეობა დღისით, შემდეგ უნდა გაეცნო მას შეღამებისას და ბოლოს ღამით. მაშინ აშკარა იქნება ადგილობრივ საგნების მოხაზულობა; თვალი შეეჩვევა საგნების აშკარად გარჩევას.

ღამით მოძრაობის და საერთოდ სხვა და სხვა მოქმედების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს სიჩუმის დაცვას. არავითარ ლაპარაკს, არავითარ ხმამაღალ განკარგულებას, არავითარ ხმაურობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მცირეოდენ გაუფრთხილებლობას—ქვაბის ჟღარუნს, დაცემას, უდროოდ პაპიროსის მოწევას—ყოველივე ამას შეუძლია მთელი საქმე გააფუჭოს.

ომში ჯარები დროს დიდ ნაწილს ატარებს მოძრაობაში. მტრის ჰაეროპლანები მუდამ ეცდებიან ზვერონ ჩვენი მოქმედება. ამიტომ მოქმედების დასაფარავად მოძრაობა უმეტეს ნაწილად ღამით უნდა შევასრულოდ.

ბრძოლის დროს, როცა მტერზე იერიშის მიტანაა საჭირო ღია ადგილზე, ჩვეულებრივად სცდილობენ ახლოს მიპარვას და გათენებისას გადადიან იერიშზე. ეს ახლოს მიპარვა ძალიან ფარულად უნდა სწარმოებდეს, ვინაიდან თუ მტერმა გაიგო, უფრო გაძლიერებული ცეცხლით შეხვდება მოწინააღმდეგეს, ვინემ დღისით. ღამით ბრძოლა მოითხოვს სასტიკ დისციპლინას, დაკვრა უნდა იყოს შეთანხმებული, სწრაფი და გადამჭრელი. საერთოდ მეომრები უნდა იყვნენ მტკიცედ შემჭიდროებული ერთმანეთთან.

ხშირად მტრის ძლიერ გამაგრებული წერტი შეიძლება აღებულ იქნას მხოლოდ მოულოდნელი ღამის იერიშით. მოულოდნელობა აბნევს მტრის რიგებს და თავზარს სცემს მეომრებს. ხოლო ეს კი დიდი წარმატებაა. საერთოდ ღამით ბრძოლაში შეიძლება რიცხვობრივად გაცილებით ნაკლები იყო მტერზე, მაგრამ მაინც გაიმარჯვოს. ბრძოლა სწარმოებს ჯგუფებად (ნაწილები გადადიან კოლონებად); ქვეითი ჯარი მოქმედებს მეტ ნაწილად ხიშტებითა და გრანატებით. არტილერია, ტყვიამფრქვევები და ნაღმოსნები ხსნიან ცეცხლს იერიშის დროს განსაზღვრულ უბნების მიმართ, რათა საშუალება არ მისცენ მტრის რეზერვებს მოვიდენ მოწინავე ხაზზე.

ამ რიგად მომავალ ომებში ღამით მოქმედებას ხშირად ექნება ადგილი. ამიტომ ჩვენთვის საჭიროა რაც შეიძლება ხშირად ვაწარმოოთ მეცადინეობა ღამით.

პ.

# პოლიტმეცადინეობის ოთხი საკითხი.

(დასასრული).

**3. ჯგუფის ხელმძღვანელების შერჩევა.**

როდესაც წითელი არმია გადავიდა კომპლექსური მეთოდით პოლიტ-მეცადინეობაზე, ამ დღიდან აუცილებელი საჭირო შეიქნა ჯგუფის ხელმძღვანელების შერჩევა. ჯგუფის ხელმძღვანელების საკითხის მოგვარებაში, რასაკვირველია, დიდ საშვალებას გვაძლევს წ. მეთაურების გამოშვება, რომლის გამოყენება ამ მხრივ შესაძლებელია. მაგრამ მიუხედავათ ამისა, საჭიროა მათთვის პოლიტ-ხელმძღვანელობა. რაში უნდა გამოიხატებოდეს ეს ხელმძღვანელობა? იმაში, რომ პოლიტ-ხელი, როგორც საერთო ხელმძღვანელი ასეულის პოლიტიკურ დარგში, უნდა აძლევდეს საერთო დირექტივას ასეულის მასშტაბით.

პოლიტხელი უნდა სცდილობდეს, რაც შეიძლება უფრო კარგი მომზადებული ჯგუფის ხელმძღვანელი მიამაგროს იმ ჯგუფთან, რომელიც უფრო სუსტია.

ხშირად წინააღმდეგს აქვს ადგილი: კარგ მომზადებულ ჯგუფის ხელმძღვანელს ამაგრებენ ძლიერ ჯგუფში და სუსტი ჯგუფის ხელმძღვანელს კი სუსტ ჯგუფში, რასაც ვერ მოაქვს სათანადო ნაყოფი და რის უარყოფით მხარეებიც მტკიცდება ჩვენ პრაქტიკულ მუშაობაში. სუსტი ჯგუფის ხელმძღვანელს ვერ შესწევს ძალ-ღონე, რომ სუსტი ჯგუფი წინ წასწიოს და ეს სუსტი ჯგუფი ისევ სუსტი რჩება. წ.-არმიელს ეკარგება ამ შემთხვევაში სწავლის უნარი და უკან ექანება. ძლიერი ჯგუფი კი წინ მიიწევს, რითაც ხდება ამ ჯგუფების ცოდნის არა დაახლოვება, არამედ დაშორება.

**4. კონსპექტის დამუშავება, მასალების გამოძებნა და პოლიტ-ხელის როლი.**

რაც შეეხება კონსპექტების დამუშავების და მასალების გამოძებნის საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს. სასურველია კონსპექტი მუშავდებოდეს პოლიტხელის ხელმძღვანელობით კოლექტიურად, ჯგუფის ხელმძღვანელებთან ერთად, თუ ამ შემთხვევაში ხელს არ შეგვიშლის სამხედრო მეცადინეობა ან რაიმე სხვა ობიექტიურ პირობა, ვინაიდან ჩვენ ვიცით ჯგუფის ხელმძღვანელებად ინიშნებიან ოცეულის მეთაურები, რომლებსაც აქვს სამხედრო მეცადინეობა და რის გამო შესაძლებელია არ დარჩეს დრო მიიღოს მონაწილეობა კონსპექტის კოლექტიურად დამუშავებაში. თუ ასეთ შემთხვევებს ადგილი ექნება, ამ შემთხვევაში პოლიტ ხელი, როგორც უფრო გამოცდილი ამ საკითხში, თითონ უნდა ამუშავებდეს კონსპექტს წინასწარ და უნდა აცნობდეს ჯგუფის ხელმძღვანელებს, კონსპექტის წყობას და მის შინაარს, უნდა უხსნიდეს თითეულ ჯგუფის ხელმძღვანელს მიდგომას-ხერხს ამა თუ იმ თემის და მიხედვით, რასაც ნაკლები დრო დასჭირდება. კონსპექტები თითეულ ჯგუფის ხელმძღვანელს უნდა ქონდეს გადაწერილი, ამავე დროს პოლიტხელი უნდა მიუთითებდეს სათანადო მასალებზედ ჯგუფის ხელმძღვანელებს, რაც მათ მიერ უნდა იქნას გადათვალიერებული და გაცნობილი წინასწარ, საკუთარი კითხვის საშვალებით. ამით ჩვენ კითხვის ვალდებულად ვხდით ჯგუფის ხელმძღვანელებს, ისინიც ემზადებიან და მათ მომავალ მუშაობას უადვილებთ.

პოლიტ-ხელმძღვანელის როლი ამ შემთხვევაში დიდია. პოლიტ-ხელმძღვანელი ყველა ზემო ჩამოთვლილ საკითხებში უნდა დაინტერესდეს და რომ მიზანს მიაღწიოს, არც ერთი წუთით არ უნდა უშვებდეს ამის შესრულების აუცილებლობას მხედველობიდან.

იო. მაისაია.

# ჩვენი ტერ-ნაწილების ცხოვრება და მუშაობა

## მეხუთე ლეგიონის მანევრები.

ხანმოკლე სალაშქრო მოძრაობის შემდეგ შევედით სოფ. სიმონეთში. არმიელები დიდის სიმხიარულით და „ვაშას“ ძახილით ეგებებიან გლეხებს. სამხედრო ორკესტრი უკრავს მხიარულ მარშს, რომლის ხმა და გრიალი ედვიძებს მთელ სოფელს და არე-მარეს. ლეგიონი ჩერდება. მოლაშქრეების ნაწილი ისვენებს, ხოლო ნაწილი ორკესტრის მიერ გაჩაღებულ ლეკურზე დავლურს უვლიდენ. დასვენების და ვახშმის შემდეგ ლეგიონის კლუბი, ბიბლიოთეკა და პარტორგანოები ეწევიან გლეხების შორის პროპაგანდას ტერიტორიალურ მშენებლობის შესახებ. გლეხები ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილები საუბრობენ გლეხებს- მუშებს - წითელარმიელებს შორის და უზიარებენ ერთიმეორეს ყოველგვარ საჭირბოროტო საკითხებს და განცდას. აგიტ. ორთვალა ავრცელებს სოფელში ლოზუნგებს და პლაკატებს, რომელსაც გლეხობა დიდის სიმხიარულით ეგებება და გაუგებარ აზრებს ეკითხებიან მომზადებულ ამხანაგებს, რომელზედაც დაუზარებლივ აძლევენ ახსნა-განმარტებას, რის შემდეგაც არმიელები კმაყოფილი დასცირნობენ სოფლის მიმყუდროებულ ორღობეებში და ბაღებში, სადაც თავაზიანად უმასპინძლდებიან მომავალი წლის გასაწვევი ახალგაზრდა გლეხები. ადგილობრივი ორგანოები დიდ დახმარებას გვიწევენ სამოსწავლო ალღუმის კარგად ჩატარებაში. სოფლის გლეხკომები დაუზარებლივ გვიმართავენ ხელს საქონელით, ურმებით და სხვა და სხვა საჭირო მასალებით. საღამოს დაღლილ-დაქანცული მოლაშქრე ტერარმიელები ეძლევიან ტკბილს მოსვენებას. ახლო მახლო გუშაგები ფხიზლად დგანან სადარაჯოზედ, რომ მოულოდნელად არ დაგვეცეს მტერი.

ცაცა.

## მე—4 ხე ლეგიონი მანევრებზე.

25 სექტემბერს საღამოს 16 საათზედ ჩვენი ლეგიონი მოეწყო მანევრებზე წასასვლელად ასეულების მეთაურებმა და პოლიტხელებმა წინასწარ გაუმეღავნეს თავიანთ ასეულებს საბრძოლო ამოცანა.

ისმის განკარგულება ლეგმეთაურის მიერ და ლეგიონი სამხედრო ორკესტრის თანხლებით დაიძრა ბანაკიდან. გაჩაღდა სიმღერები ქართულ სომხურ და რუსულ ენებზედ. გავცილდით ქალაქ გორს, და დავიწყეთ საბრძოლო წესზედ გადასვლა. გამოყოფილი იქნა წინმავალი ძალა და ფრთების დამცველი ათეულები.

დაღამდა. დაცული იქნა ლამით მოძრაობის წესი, ხმამაღლა ლაპარაკი, თამბაქოს მოწევა შეწყდა, ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. გავიარეთ სალაშქრო წესით 20 კილომეტრამდის და დავბანაკდით სოფ. ტიენისის მახლობლათ, სადაც ლეგიონმა მიიღო ვახშამი.

ამის შემდეგ ერთი ათასეული გაიგზავნა წინ, რომელსაც მიეცა ამოცანა, გამაგრებულიყო ქ. ცხინვალის სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარე სერზედ.

ადრე გათენებამდის დანარჩენ ორ ათასეულებმა დაიწყეს შეტევა. ამოცანა შესრულებულ იქნა დილის 7 საათზედ შემდეგ მთელი ლეგიონი გაეშურა ქალ. ცხინვალში დასასვენებლათ წინ მიგვიძღოდა ორკესტრი. ცხინვალის მშრომელი ხალხი სიხარულით შეგვეგება.

ლეგიონი დაბანაკდა მდინარე ლიახვის მარჯვენა ნაპირას სადაც მიიღო სადილი. სადამოს გვესტუმრა ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ მთავრობის წარმომადგენლები, შეეგებეთ მხურვალე „ვაშას“ ძახილით, გაიხსნა მიტინგი, მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ამხანაგებმა ოლმასკომის და პარტკომის სახელით, რომლებმაც აღნიშნეს ის უბედურება, რომელიც განიცადა ოსეთის მშრომელმა ხალხმა მენშევიკების ბატონობის დროს.

მხურვალეთ მიესალმენ წითელ-არმიელებს როგორც დამცველებს მთელი მშრომელი ხალხის.

გაისმა ინტერნაციონალი და „ვაშას“ ძახილი. მეორე დღეს მანევრებითვე დავბრუნდით ქ გორში. ეს ალღუმი მეტი ნაყოფიერად ჩატარდა შედარებით წარსულთან, წ. არმ. მიიღეს საკმაო გამოცდილება.

შ. ხაბეიშვილი.

## გულმოდგინეთ ვმეცადინეობთ.

6-ე ლეგ. ცხენ. მზვერავთოცეული.

თვეზე მეტია, რაც ჩვენს ოცეულში მოვედით და დავიწყეთ სისტემატიური მეცადინეობა. ამ მხრივ ჩვენი ოცეული არ ჩამოუვარდება სხვა ასეულებს.

ცვალებადელი ამხანაგები თავიდანვე ყურადღებით მოეკიდენ მეცადინეობას და ამიტომ ერთი თვის განძავლობაში კარგად გავიარეთ, როგორც საშწყობრო, ისე საცხენოსნო ვარჯიშობა. გავიარეთ აგრეთვე მზვერავის ვალდებულებანი და ტოპოგრაფია.

ოცეულის შემადგენლობა გაყოფილი იყო ორ ჯგუფად. პირველში მოქცეული იყვენ ძირედი შემადგენლობა და მეორეში კი ცვალებადელები, რომლებიც არა ნაკლები ყურადღებით ეკცეოდენ პოლიტიკურ მეცადინეობასაც.

წითელ ჯარში ერთი თვის ყოფნამ ბევრი რამ შეგვძინა. მადლობელი ვართ აგრეთვე ჩვენი უფშემადგენლობის, რომლებიც დიდი ყურადღებით გვეკიდებოდენ ყოველთვის.

წ.-არმ. ა. ს—ძე.

## წითელ არმიელების წარმოდგენა.

6-ხე ლ. საკავშირო გუნდი.

გაისმა ამოკითხვის ნიშანი. მთელი ლეგიონი თვალისდახამხამებამდე მოეწყო ასეულებით ხაზზე ამოსაკითხავად. ამოკითხვის შემდეგ გადაიცა ბრძანება, რომ ყველა ასეულები მომზადებულიყონ საკავშირო გუნდის მიერ გამართულ საღამოზე წასასვლელად.

ბრძანებამ დიდი მხიარულება გამოიწვია არმიელებში. გაიმართა ცეკვა-თამაში და მხიარული სიმღერები. უკრავდა ლეგიონის სამხედრო ორკესტრი. რამოდენიმე ხნის შემდეგ არმიელებმა უკვე შეიყარეს თავი სცენის წინ. აიხადა ფარდა და გამოჩნდა ერთი ამხანაგთაგანი, რომელიც წინასწარი განმარტებით გამოვიდა საღამოს შინაარსის შესახებ.

დაიწყო წარმოდგენაც პიესა „ფიცით“, რომელიც ძლიერ კარგად იქნა შესრულებული. მეორე მოქმედებაში დაიდგა ვოდევილი „ტიმოთეს ლედვი“. საღამოთი ხალხი კმაყოფილი დარჩა და მხიარულად დაიშალენ.

იმედია საღამოს მომწყობი კომისია ხშირად შეეცდება ასეთი წარმოდგენების გამართვისათვის.

სამხკორი რ. ქორი.

# გამოწვევის წინ.

## სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოთ.

პირველი ლეგიონის სკოლა.

დღემდე ისე მოვედით, რომ ჩვენს სკოლაში ადგილი არ ჰქონია დეზერტირობას. სამწუხაროდ ამ უკანასკნელ ხანებში თავი იჩინა წითელ არმიელებში ამ სამარცხვინო მოვლენამ. ამ ახლო ხანებში უნდა დაგვემთავრებია კურსები და მიგვეღო სათანადო დარიგებანი, მაგრამ ამასაც აღარ მოუცადეს ზოგიერთმა ამხანაგებმა და გაიპარენ სახლებში.

მათმა საქციელმა სხვა ამხანაგებსაც ავნო.

სკოლის უფროსმა განკარგულება გასცა, რომლითაც ყველა კურსანტებს ეკრძალებათ ნება დაურთველად სკოლის ეზოდან გამოსვლა.

სკოლის რიგის წითელ-არმიელები სასტიკ საყვედურს და განკიცხვას უცხადებთ იმ ამხანაგებს, რომლებმაც ასე ურცხვად დასტოვეს ყაზარმები და სახელი გაგვიტეხეს. მოვითხოვთ ვისგანაც ჯერ არს სასტიკი პასუხი მოეთხოვოთ მათ ასეთი საქციელისათვის.

სამხკორი ვაზი.

## დაათავეს კურსები.

პირველი ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონში დაარსებული იქნა მოკლე ვადიანი საკოოპერაციო, სამილიციო და ქოხ-სამკითხველოს გამგეების მოსამზადებელი კურსები. კურსები დაარსებული იქნა შვებულებაში მიმავალ არმიელებისათვის. 24 სექტემბრისათვის დაასრულა კურსებმა თავისი მუშაობა და ამ დღესვე იქნენ გაშვებული მსმენელებიც.

მთელმა კურსანტებმა ლეგიონის თავთან, სამხკომთან და ლექტორებთან ერთად გადაიღეს სურათები.

ლეგიონის სამკითხველოს თანაშემწემ ამხანაგებს დაურიგა გაზეთები და წიგნები.

საღამოს გავაცილეთ ამხანაგები სადგურამდე. გზაში „ვაშას“ ძახილით მიდიოდენ. სადგურზე კიდევ დავემშვიდობეთ ერთმანეთს და ახალი მუშაობისათვის მომზადებული ძალები გაეშურენ სოფლებისაკენ.

სამხკორი ვ. ჩაგელიშვილი.

## ხშირად ასეთი საუბრები.

ცალკე საკავშირო ასეულის ყაზარმაში აგერ რამოდენიმე ხანია ხშირად ტარდება შინაური საუბარი ასეულის სამხკომის მიერ, რაც წითელ არმიელებისათვის მეტად საინტერესო შეიქნა. სამხკომი დაწვრილებით ესაუბრება არმიელებს სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო საკითხებზე. ამას გარდა სამხკომი ყოველთვის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, თუ როგორ უნდა მოექცნენ ძველ მსახურ წ. არმიელები ახალ წვეულებს, რომლებმაც ჯერ ყაზარმული ცხოვრებაზე არაფერი იციან.

საჭიროა ადგილი არ ჰქონდეს ახლად მოსულებისადმი დაცინვას, რომელსაც შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს ახალ-წვეულებს და შეაძულოს მათ სამსახური. ამავე დროს წ. არმიელები აძლევენ მას შეკითხვებს ნაწილის რაიმე ნაკლულევანებაზე. სასურველია ასეთი საქმიანი საუბრები ხშირად, მოეწყოს რათა ყოველივე ჩვენი ჭირ-ვარამი ადვილად ვაცნობოთ სამხკომს და ადგილი არ ჰქონდეს მის წინაშე მორიდებას.

ვ. ჯოხაძე.

## მე-2 არტლეგიონის 1 საგაუბიცო ბატარეის ცხოვრებიდან.

1 ლი საგაუბიცო ბატარეის ცვალებად შემადგენლობის წ. არმიელების მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ვინაიდან მოკლე ვადით ვართ გამოწვეული, ყველა ჩვენგანი დაინტერესებულია რაც შეიძლება მუყაითად მოეკიდოს როგორც სამხედრო ისე პოლიტიკური ცოდნის შეძენის საქმეს.

ბატარეიაში დაარსებულია სკოლის გარეშე მომზადების წრეები: პოლიტ წრე, კომკავშირის წრე და სამხედრო, რომლებშიც სისტემატიურად მიმდინარეობს მეცადინეობა. აგრეთვე მოწყობილია ლენინის კუთხე, სადაც ტარდება საუბარი სხვა და სხვა თემებზე. წითელ არმიელები მონაწილეობას ღებულობენ საკლუბო და საბიბლიოთეკო მუშაობაში. მიუხედავად იმისა, რომ გაცხოველებული სამხედრო მეცადინეობაში ვართ ჩაბმული, ჩვენი წითელ არმიელები მაინც აჩერხებენ მონაწილეობა მიიღონ სხვა და სხვა კულტურულსა და პოლიტიკური ხასიათის მეცადინეობაში. ყველას უნდა სათანადო ცოდნით დაუბრუნდეს თავის სოფელს და მათაც მიიღონ მონაწილეობა მისი აღმშენებლობის საქმეში.

წ. არმ. ვიქტორ გოგიბერიძე.

# პარტიული ცხოვრება

სამხედრო პოლიტსკოლის კომუჯრედი.

სექტემბრის 30 შესდგა სკოლის კომუჯრედის ღია კრება. კრებას წარედგინა დასამტკიცებლად ოქმი წარსული კრების.

შემდეგ განხილულ იქნა კომუჯრედის ბიუროს ერთ თვიანი სამუშაო გეგმა. გეგმა ვრცლად იყო შედგენილი და კონკრეტიულად არ იყო აღნიშნული ის მუშაობა, რომელიც უნდა იქნეს წარმოებული ერთი თვის განმავლობაში.

ბიურომ მიამაგრა ამხანაგები სხვა და სხვა ორგანიზაციებს. უფრო ყურადღება აქვს მიქცეული მუშათა უჯრედებს, ვინაიდან ამხანაგები იქ გაეცნობიან მათი ორგანიზაციების მუშაობას და ბევრს საჭირო ცოდნას შეიძენენ.

უყურადღებოთ არ არიან დატოვებული კომუჯრედის მიერ, კლუბი თვისი წრეებით, ბიბლიოთეკა, კომკავშირი. მათ მუშაობის გასაჯანსაღებლად გამოყოფილ და მომაგრებულ არიან ამხანაგები.

ბიუროს საჭიროდ უცვნია მრავალი სხვა და სხვა ხასიათის წრეების დაარსება. უნდა ითქვას, რომ არ არის მიზანშეწონილი მრავალი წრის დაარსება, ვინაიდან კურსანტები ძლიერ არიან დატვირთულნი გაკვეთილებით. სასურველია იყოს ცოტა და მათი მუშაობა საღი და სასარგებლო.

საერთოდ კომუჯრედს განუზრახავს მთელი კურსანტთა მასის ჩაბმა პარტმუშაობაში, ყველას აქვს მიჩენილი ესა თუ ის საქმე, რაც უეჭველია დიდ სარგებლობას მოუტანს მათ. მხოლოდ საჭიროა, რომ კომუჯრედმა ადევნოს თვალ-ყური, რათა ყოველივე დავალება შესრულებულ იქნას პირნათლად.

ე. ხუციშვილი.

### ჩვენს კომუჯრედში.

მე-5 ლეგიონის მე-3 ათასეულში ცვალებად შემადგენლობის შეკრებამდი არსებობდა ერთი კომ-უჯრედი ათასეულის მაშტაბით, მხოლოდ შეკრების შემდეგ დაარსებული იქმნა მეორე კომ-უჯრედი, რადგანაც პარტიის წევრების რიცხვი საკმაოთ გადიდდა. უჯრედებს ყავთ თავ-თავიანთი ბიუროები, კრებები მიმდინარეობს თავის დროზე.

კომუჯრედი უმთავრეს ყურადღებას აქცევს ა. ლ. კ. კ. ჯგუფის მუშაობას და უწევს იდეურ ხელმძღვანელობას. ა. ლ. კ. კ-ს ჯგუფს ყავს კომ-უჯრედიდან გამოყოფილი ორგანიზატორი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს ჯგუფის მუშაობას.

სამხკორი ყულისკარელი.

# ახკომკავშირელთა შორის.

### მე-6 ლეგიონის სკოლის უჯრედი.

**24** სექტემბერს შესდგა სკოლის კომკავშირის კრება, რომელსაც დაესწრო კომკავშირელები და პარტიის წევრები. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ავსტრიის ახალ დელეგაციის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში, 2) განცხადებების განხილვა, 3) მიმდინარე საკითხები. პირველ საკითხზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ივ. ბალანჩივაძემ. ის შეეხო ახალ კომკავშირის საერთაშორისო მდგომარეობას და მიუხედავად იმისა, რომ ის განიცდის თეთრი ტერორის მიერ საშინელ დევნას ამ ჟამად. ევროპის ქვეყნებში კომკავშირი მაინც აერთიანებს 500.000 ახალგაზრდობას მაშინ როდესაც, ახალ. ყვითელი ინტერნაციონალი აერთიანებს 250.000 ახალგაზრდობას. ასეთი რიცხობრივი გაძლიერება, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კომკავშირისა მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენათ ევროპის ახალგაზრდობა დგას რევოლიუციონურ კლასიური ბრძოლის ნიადაგზე. შემდეგ მოხსენებელი ლაპარაკობს ავსტრიის ახალ. დელეგაციის საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის შესახებ, და მის მნიშვნელობაზე.

შემდეგ განხილული იქნა პარტიაში შემოსვლის მსურველთა განცხადებები.

შკოლის სამხკორი **О. Ბ.**

### პირველი საკავშირო ასეული.

**30** აგვისტოს შესდგა 1-ლი საკავშირო ასეულის კომკავშირის ჯგუფის მორიგი ღია კრება. დაესწრენ ახკომკავშირის, კომპარტიის კანდიდატები და უპარტიო წითელარმიელებიც.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება ბანაკათ ყოფნის დროს საშეფო კომკავშირის უჯრედთან გაწეულ მუშაობის შესახებ. 2. კავშირის განახლება სამოქალაქო უჯრედთან და 3. მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვეფხვაძემ. როგორც მან აღნიშნა, მას დიდი იდეიური და მატერიალური დახმარება გაუწევია ზემოხსენებულ უჯრედისათვის. ის უკეთებდა მოხსენებას სხვა და სხვა თემებზე, მაგ. წითელ არმიის მდგომარეობა და მისი წარმოშობა, ტერსისტემის მნიშვნელობა, გრძელვადიან გლეხთა სესხის შესახებ და სხვა მრავალ საკითხებში აწვდიდა სხვა და სხვა წიგნებს, ჟურნალებს და უწერდა „წითელ არმიელს" და სხვა. ასეთმა დახმარებამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია, როგორც ახკომკავშირის წევრებში და ისე უპარტიო ახალგაზრდობაში. მომხსენებელმა აღნიშნა, უჯრედში უდისციპლინობას ქონია ადგილი, მაგრამ ის აღმოუფხვრიათ.

კრებამ მისი მოხსენება დამაკმაყოფილებლად სცნო.

2. მეორე საკითხის შესახებ ილაპარაკა უჯრედის პასუხისმგებელ მდივანმა, რომელმაც საჭიროდ სცნო სხვა ორგანოებთან კავშირი. ამ მიზნით ამორჩეულ იქმნა რამოდენიმე ამხანაგებისაგან შემდგარი კომისია.

მიმდინარე საკითხებში წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, რომ კავშირის წევრები ძლიერ მოდუნებული არიან და საჭიროა მოხსენების დავალება თითეულ ამხანაგებზე.

კრებამ დაადგინა დაევალოს თითეულ ამხანაგს რიგრიგობით მოხსენების გაკეთება სხვა და სხვა თემებზე, რაიც გამოაცოცხლებს უჯრედის მუშაობას.

სამხკორი **ნინუაჭუთხელი.**

# უცხოეთის არმიებში.

**ახალი საბარგო მოტოციკლი.**

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც გერმანიაში დაამზადეს ახალი ტიპის საბარგო მოტოციკლი, რომლითაც შეიძლება ბარგის ჩქარი გადატანა საკმაო დაცილებულ ადგილებზე. მოტოციკლის სიჩქარე უდრის საათში 4 კილომეტრს. ის სამთვალიანია და მასზე მოთავსებული მოტორის სიძლიერე უდრის 3 ნახ. ცხენის ძალას.

**რადიო მოყვარულები მანევრებზე.**

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ცდილობს რადიოს მოყვარულები გამოიყენოს სამხედრო მიზნისათვის. უკანასკნელი მანევრების დროს ამერიკელი რადიო მოყვარულები მსახურებდენ საკავშირო ნაწილებში. ამერიკის არმიის შტაბის უფროსმა წერილით მიმართა რადიო მოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარეს, სადაც ღირსეულად აქებს მანევრების დროს ჯარში თავისი ნებით მომუშავე 150 რადიო მოყვარულს. ამასთანავე შტაბის უფროსი იმედს გამოსთქვამს, რომ ამერიკის რადიო მოყვარულები დიდ დახმარებას გაუწევენ მხედრობას ომის შემთხვევებში.

**ავსტრიის ყოფილი ნაღმოსნების შეკეთება.**

საბერძნეთის საზღვაო სამინისტრომ გადასწყვიტა ამა ახლო მომავალში შეაკეთოს ომის შემდეგ მასზე გადაცემული ავსტრიის 6 ნაღმოსანი. შეკეთების შემდეგ, რომელიც 500.000 მანეთი უჯდება სამინისტროს, ნაღმოსნები შევლენ საბერძნეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის შემადგენლობაში.

**საბერძნეთის საზღვაო აკადემია.**

ინგლისის საზღვაო მისია წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებს ათინაში (საბერძნეთი) საზღვაო აკადემიის დასაარსებლად. აკადემია გაიხსნება ოქტომბრის დასაწყისში.

აკადემიაში მიიღებიან საზღვაო ოფიცრები არა ნაკლები კაპიტანის ხარისხისა. სწავლა იწარმოებს ერთი წელი. ორი საუკეთესო მსმენელი შემდეგში გადაგზავნილი იქნებიან ინგლისში საზღვაო საქმის უფრო დაწვრილებით შესასწავლად. ამას გარდა ამ ახლო მომავალში დაიწყება მოლაპარაკება ინგლისისა და საბერძნეთის მთავრობებს შორის, რათა საბერძნეთის ოფიცრებს ნება მიეცეთ სათანადო ცოდნა და გამოცდილება მიიღონ ინგლისის სამხედრო გემებზე სამსახურით.

# საქართველოს ცაკში.

**თიანეთის რაიონი.** დამტკიცებულია დადგენილება თიანეთის რაიონის შექმნის და მისი ტფილ. მაზრაზე მიწერის შესახებ.

**პენსიონერი მასწავლებლები.** დამტკიცებულია იმ მასწავლებელთა და განათლების მუშაკთა სია, რომელნიც პენსიებს მიიღებენ სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოდან.

**შეღავათი ქვემო სვანეთს.** საქ. ცაკმა შუამდგომლობა აღძრა ა. კ. ცაკის წინაშე ქვემო სვანეთის საძოვრების გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ, ვინაიდან იქ მესაქონლეობა არ ატარებს მრეწველობის ხასიათს.

# ამბები სოფლებიდან

**სახერხი ქარხანა.**

სურამის აღმასკომმა გადასწყვიტა დაჩქარებით შეუდგეს ადგილობრივ, სახერხი ქარხნის მოწყობას.

**ახალი ქარხანა.**

ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა საჩქაროთ შეუდგეს აგურხანისა და მილების საკეთებელ ქარხნის მოწყობას. აღნიშნულ ქარხნებში დამზადებულ იქნება წყალსადენისათვის საჭირო მილები და საამშენებლო მასალები.

**აღმშენებლობა სოფლად.**

დოესის (გორ. მაზრა) სათემო აღმასკომმა დაადგინა სოფლების გამშვენიერების მიზნით შეუდგეს სოფლებში ძველი, საშიში შენობების დანგრევას და გამოსცეს სავალდ. დადგენილება, რომ ახალი შენობები შენდებოდეს საერთო გეგმით.

**გლეხების დასახმარებლათ.**

სას.-სამეურნეო ბანკის ქუთაისის განყოფილებამ გადასდო 11.500 მანეთი შორაპნის მაზრაში სტიქიურათ დაზარალებულ გლეხების დასახმარებლად.

**გლეხების შუამდგომლობა.**

სოფ. სამთავისის (შორაპნის მაზრა) გლეხებმა შუამდგომლობა აღძრეს სამ. აღმასკომის წინაშე სათემო აღმსკომის სოფლის ცენტრში გადატანის შესახებ.

**საგადასახადო კამპანია.**

ახალქალაქის აღმასკომმა დაადგინა ჩაატაროს სოფლებში ლექცია—საუბრები ერთიანი სას.—სამეურნეო გადასახადის შესახებ.

**სააავადმყოფო ლაგოდეხში.**

საქ. წითელი ჯვრის საზოგადოებას განზრახული აქვს გახსნას საავადმყოფო ლაგოდეხში.

# ახალი ამბები.

— **სანიტარული აეროპლანი.** წითელი ჯვრის საზოგადოებას განზრახული აქვს ააგოს სანიტარული აეროპლანი, რომლითაც შესაძლებელი იქნება პროვინციებში მომხდარ სტიქიურ ან სხვა უბედურებათა დროს სასწრაფო დახმარების აღმოჩენა.

— **ახლად დაზღვეულები.** სექტემბრის განმავლობაში დამზღვევმა სალარომ დაზღვევაზე აიყვანა 364 უმუშევარი.

— **წითელი თეატრი.** ტფ. აღმასკომმა გადასწყვიტა წითელ თეატრს მომავალი სეზონის განმავლობაში დაუთმოს ყოფ. სახ. სახლის შენობა.

— **ბამბის მოსავალი საქართველოში.** წელს საქართველოში საშუალოთ მოელიან 40 ფუთ მოსავალს დესეტინაზე.

— **საპნის გასაღება.** აგვისტოს თვის განმავლობაში სახ. მეურნ. უმ. საბჭოს მიერ გასაღებულ იქნა 74.894 მანეთის საპონი.

— **ტყავეულობის დამზადება.** აგვისტოს განმავლობაში ს. მ. უ. ს. ტყავის ქარხნებმა დაამზადეს 114.791 მანეთის ტყავეულობა.

— **ტრაქტორზე მომუშავეთა კურსებზე** მიწ.-მოქ. კომისარიატის დადგენილებით ისწავლის 30 კაცი.

— **ღორის ჭირი.** თელავის მაზრაში მძვინვარე ღორის ჭირის საწინააღმდეგოთ მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატის სავეტერინარო განყოფილებამ გაგზავნა საჭირო წამლები.

# მეცნიერება და ტექნიკა

**ნივთიერებას სხვადასხვაობის მიზეზი.**

ყველა იმის შემდეგ, რაც ჩვენ წინა წერილებში ვსთქვით, უნებურად იბადება კითხვა — თუ ყველა ატომები (ნივთიერების უმცირესი ნაწილაკები) შესდგებიან მხოლოდ ელექტრონებისაგან, დადებითი ელექტრონის ბირთვისა და მის გარშემო მბრუნავ უარყოფითი ელექტრონის ბირთვების მთელი ჯგუფისაგან, რატომ არსებობენ მაინც 92 სხვა და სხვა სახის ელემენტები დაწყებული მსუბუქი გაზებისაგან, როგორც წყალბადი (წყლის შემადგენელი ნაწილი) და გათავებული მძიმე ელემენტი—ტყვიით.

ერთი გოლანდიელი მეცნიერის—ვან დენ ბრეკის აზრით, რომელიც შემდეგ სავსებით იქნა მიღებული მეცნიერების მიერ ამ ფაქტის ახსნა ასეთია: ნივთიერებანი იძენენ ამა თუ იმ თვისებებს, რომლებითაც განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან: ფერით, წონით, და ფორმით.

ყველა ამ თვისებებს ისინი იძენენ იმისდამიხედვით, თუ რამდენი უარყოფითი ელექტრონი მოძრაობს ატომში—დადებითი ელექტრონი—ცენტრალურ ბირთვის გარშემო.

ამნაირად თუ ჩვენ ავიღებთ ბირთვის სახით ერთ დადებითი ელექტრონს და მის გარშემო ავამოძრავებთ მხოლოდ ერთ უარყოფითი ელექტრონს—მივიღებთ წყალბადის ატომს. ამნაირად ატომის („მზის სისტემა) შესდგეს მხოლოდ ერთი „მზისა" და ერთი „პლანეტისაგან." თუ ჩვენ ამ წყალბადის „მზის სისტემაში" შევიყვანთ კიდევ 28 დადებითი ელექტრონებს მაშინ წყალბადის ატომი გადაიქცევა სპილენძის ატომათ.

თუ ჩვენ ამ ახლად მიღებულ სისტემიდან გამოვაკლებთ 23 ელექტრონს და დავსტოვებთ დადებითი ელექტრონების საკმაო რიცხვს—სპილენძის ატომისაგან ჩვენ მივიღებთ ნახშირბადის ატომს.

# პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** ვიყავი გადაგზავნილი ტრამვაის ბიურო-კოლექტივის მიერ პარტსკოლაში, მაგრამ ტერ შეკრების გამო არ მოვხვდი სკოლაში. ადვილი მენახება თუ არა?

წ.-არმ **ვ. გოგობერიძე.**

**პასუხი.** თქვენი ნაწილის სამხკომმა ამის შესახებ აცნობოს პოლიტგანს. შეიძლება დაგიშვან.

**კითხვა.** მე ვასრულებდი მამასახლისის თანამდებობას 5 თვე მე-4-ე ლეგ. სამნეო ასეულში. ჯამაგირს ვღებულობდი, როგორც წითელ არმიელი, მერგება თუ არა მამასახლისის ჯამაგირი?

წ.არმ. **პაპიაშვილი.**

**პასუხი.** მამასახლისი უმწყობრო ასეულში შტატით გათვალისწინებული არ არის. თქვენ ხართ გუნდში უფროსი წ.არმ. არ გეკუთვნით.

**კითხვა.** ვარ ნაწილის ბიბლიოთეკის გამგე. თავისუფალი ვარ თუ არა ამოკითხვისაგან?

წ.-არმ. **ველ.**

**პასუხი.** თანახმად რევსამხსაბჭოს ბრძანებისა № 1388 (1924 წ.) თქვენ თავისუფალი ხართ მხოლოდ განწესებიდან.

**კითხვა.** აქვს თუ არა უფლება წითელ-არმიელებს ქალაქში შვებულების დროს ატარონ თავის ფულით შეძენილი ქუდი და ტანისამოსი?

**ვ. ზუტაშვილი.**

**პასუხი.** მუდამ ჩაცმული უნდა იყოთ საერთო წითელ-არმიელებისთვის დადებულ ფორმაში.

**კითხვა.** როდის იქნება უვადო შვებულებაში დათხოვნილნი 1924 წ. მაისში გამოწვეულნი კადრის წ. არმ., რომლებიც მსახურებენ ტერნაწილებში?

წ.-არმ. **როგავა.**

**პასუხი.** მეორე რიგში. არა უგვიანეს 1 დეკემბრისა (ბრძანება № 375).

**კითხვა.** ქართ. ცხენ. ლეგ. წითელ-არმიელების ნაწილი დაითხოვეს, ნაწილი კი დავრჩით. როდის დაგვითხოვენ?

**წ. არმიელები.**

**პასუხი.** თანახმად ბრძანებისა № 375 თქვენი ლეგიონის 50 პროც. დაითხოვეს პირველ რიგში, მეორე 50 პროც. დაითხოვენ მეორე რიგში, ე. ი. არა უკვიანეს პირველ დეკემბრისა.

**კითხვა.** მყავს სახლში მამა 70 წ., დედა 65 წ. და 14 წლის და. ჩემს მეტი სახლში მუშა ხელი არ არის. ეხლა სულ მანთავისუფლებენ თუ არა სამსახურიდან.

**პასუხი.** ეხლა თქვენ მიდიხართ უვადო შვებულებაში.

**კითხვა.** შემიძლია თუ არა შევიდე უმცროს მეთაურთა სკოლაში.

წ.-არმ. **ე.**

**პასუხი.** მიმართეთ ამის შესახებ ნაწილის უფროსს.

**კითხვა.** გვეკუთვნის თუ არა უვადო შვებულებაში მიმავალთ ახალი მაზარა?

**წით.-არმ.—ნია.**

**პასუხი.** არა.

**კითხვა.** ერთი თვით გამოწვეულ ტერარმიელებს მოგვეცემა თუ არა ტანსაცმელი?

**ტერარმიელი ჩ.**

**პასუხი.** არ მოგეცემათ.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე.**